საგადასახადო ცვლილებები: საგადასახადო დაგეგმვა და სტრატეგიის შემუშავება

მარიამ კასრაძე

ნინო ბიწაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ფინანსები და საბანკო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნეს ადმინისტრირება

ფინანსები და საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე კუჭავა, ეკონომიკის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი

შესავალი 4

1. საგადასახადო დაგეგმვა და ბიზნესში შესვლა..... 7

1.1. საგადასახადო დაგეგმვის როლი ბიზნეს გეგმაში.....7

1.2. მეწარმე ფიზიკური პირისა და საწარმოს რეგისტრაცია 10

2. საგადასახადო დაგეგმვა სპეციალური სამართლებრივი ფორმებისთვის..... 13

2.1. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები.....13

2.1.1. მიკრო ბიზნესი.....15

2.1.2. მცირე ბიზნესი 19

2.1.3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი.....24

2.2. საგადასახადო დაგეგმვა ადგილმდებარეობის მიხედვით.....27

2.2.1. ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი.....29

2.2.2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო.....31

3. საგადასახადო შეღავათები ცალკეულ გადასახადებსა და ოპერაციებზე..... 35

3.1. დღგ-ით დაბეგვრიგან გათავისუფლებული ოპერაციები 35

3.2. ქონების გადასახადით დაბეგვრის საშეღავათო პოლიტიკა.....39

3.3. საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული შეღავათები 43

3.4. საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული რეჟიმები.....46

4. საგადასახადო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები და გავლენა ინვესტიციებზე..... 48

4.1. საერთაშორისო ოპერაციების დაგეგმვა.....48

4.2. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი 56

4.3. საშეღავათო პოლიტიკის გავლენა ინვესტიციებზე 62

დასკვნითი დებულებები და რეკომენდაციები..... 65

აბსტრაქტი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში აქტიურად მიმდინარეობს საგადასახადო შეღავათების დანერგვა შიდა ეკონომიკის წახალისებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ასეთი შეღავათების გამოყენებას ქართული ბიზნეს-სექტორისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შეღავათების გამოყენება თავის თავში გულისხმობს ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილებას და დაზოგილი ფულადი სახსრებით ალტერნატიული პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. დღეისათვის საგადასახადო სისტემა იმდენად ცვალებადი და რთულად აღსაქმელია, რომ მეწარმეებს უჭირთ მათზე დროული რეაგირება. რაც თავის მხრივ აზარალებს ბიზნეს-საქმიანობას და ასევე ხელს უშლის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

თემის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული საგადასახადო შეღავათების განხილვა და შეღავათების გავლენის დადგენა ბიზნეს-სექტორის მიერ საგადასახადო დაგეგმვასა და სტრატეგიის შემუშავებაზე, ასევე ბიზნეს-მწარმოებლების მიერ ინვესტიციების განხორციელების პროცესში საგადასახადო დაგეგმვის მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, შეღავათებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებების შესახებ არსებული მონაცემების, საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზზე, რომელიც ეხება აღნიშნულ თემატიკას. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. კვლევის ფარგლებში შერჩევით ბიზნესის წარმომადგენლებთან ჩაიწერა ინტერვიუ და დაისვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული მათ მიერ კონკრეტულ საქმიანობებზე მორგებული შეღავათები.

კვლევამ ცხადყო, თუ რა მასშტაბებით იყენებს ბიზნეს-სექტორი გადასახადების მიხედვით საშეღავათო პირობებს და რა პრობლემები და გამოწვევები არსებობს საქართველოში ამ კუთხით.